TAV Georgia

თარიღი : 15 / 01 / 2018
ნომერი : TAV.GM.4671

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს
(მის: ქ.თბილისი 0108, თ. ჭოველიძის ქ. 10ა)

ასლი: „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორს ქალბატონ ქეთევან ალექსიძეს

ბატონო ირაკლი,

თქვენი, მიმდინარე წლის 5 იანვრის №6/738 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ჩვენს მოსაზრებას, ქ. თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე არსებული 22206 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.19.14.004.215) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების “აწარმოე საქართველოში” სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, ზემოთხსენებული მიწის ნაკვეთი 13R/31L ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან დაშორებულია დაახლოებით 3800 მ.-ით და ხვდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი შიდა ჰორიზონტალური ზედაპირის გავრცელების ფარგლებში, სადაც დასაშვებია ისეთი შენობის/ნაგებობის განთავსება, რომლის აბსოლუტური სიმაღლე, საშუალო ზღვის დონიდან არ აღმატება +524.7 მეტრს.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს საჰაერო კოდექსის მუხლი 41 „აეროდრომის რაიონში მიწათსარგებლობა და ობიექტების მშენებლობა” (11.12.2015.№4620) შესაბამისად, ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთის მომავალი შემძენი/მესაკუთრე მასზე რაიმე სახის ობიექტის (შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა) განთავსებამდე, ვალდებული იქნება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატანთან შეათანხმოს ობიექტის დასაშვები სიმაღლეები. ასევე საჰაერო ხომალდებისთვის ვიზუალური დაბრკოლებების წარმოქმნის თავიდან აცილების და ორნიტოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საწარმოს საქმიანობის შედეგად არ უნდა მოხდეს მოცემული ზონის დამტვერიანება, დაკვამლიანება ან/და დანაგვიანება სხვადასხვა სახის საწარმოო ნარჩენებით.

პატივისცემით,

ქ. მეთე ერქალი
გენერალური მენეჯერი

თეა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერის მოადგილე

ZG

LLC "TAV URBAN GEORGIA" 205203491

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ეროვნული საარქივო ფონდის თბილისის ბიბლიოთეკის ცენტრი
შემოსავლის № 4386/3
"16" 01 2018 წ
1 ფურცელი

TAV Urban Georgia LLC
Tbilisi International Airport
0158 Tbilisi, Georgia